# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 21 სექტემბერი 2007 №218 (3141)

ფასი 50 თეთრი

## განსაკუთრებულის განსაკუთრებული დასასრული... ჟოზე მაურინიუმ რუსის ხუშტურები ვერ აიტანა და წავიდა!



პორტუგალიელმა თან ლონდონელთა სიყვარული და 25 მილიონი გაიყოლა




AFP

## ოთარ თუშიშვილის ბრინჯაოს ტუში




AFP

## ერთი ნაბიჯი ნამდვილ უეფამდე



ბადრი კეთილაძის ფოტო

## ვინ მოხვდება ჯგუფში?

# ლევან ყენია: დაღლას კი არა, სტიმულს ვგრძნობ



[illegible] ფოტო

17, 19, 21-წლამდელები და ეროვნული — სადღაც ათ თვეში ლევან ყენიამ ოთხივე ნაკრებში ითამაშა და საქართველოს ყველაზე პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლება. ყენიაზე ბევრი კამათი შეიძლება, რადგან ამბობენ, რომ მას ნაადრევად აჰკიდეს მძიმე ტვირთი. თუმც ერთიცაა, ეს ბიჭი თავისას მინდორზე ამტკიცებს... წესით, ამ ერთ თვეში წერტილი უნდა დაესვას ყენიას თბილისის „ლოკომოტივში" ყოფნას და გელზენკირხენის „შალკეში" გადასვლას. ამ ყველაფერზე ლევანს გუშინ ვესაუბრეთ...

— საბუთების პრობლემებმა დიდხანს შემაფერხა, ამის გამო „შალკეში" გადასვლა ვერ მოვახერხე. ახლა უკვე დაზუსტებით შემიძლია ვთქვა, რომ მაქსიმუმ თვენახევარში გელზენკირხენში გავაგრძელებ კარიერას.

— საბუთების ამბავი მოთავებულია?

— დიახ, ასე მითხრეს. კონკრეტულად როდის ჩავალ, ჯერ არ ვიცი. ახლა მალე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს უნდა გავყვე რუმინეთში, სადაც ამხანაგურ მატჩებს ვითამაშებთ.

— ეროვნულ ნაკრებში უკრაინასთან და აზერბაიჯანთან ითამაშე. რა გრძნობა გქონდა?

— პირველ რიგში, სიამაყის და პასუხისმგებლობის. ყველაფერს გავაკეთებ, რათა ნდობა გავამართლო.

— მორიდების მომენტი? იოლად გაუშინაურდი ნაკრებს?

— რისი უნდა მომრიდებოდა?! ყველა მამხნევებდა, ხელს მიწყობდა.

— უკრაინელები გაბარიტებით და ფიზიკური მომზადებით გამოირჩევიან. შენ კი ჯერ არ ხარ ისე მძლავრად. არ გაგიჭირდა?

— თამაში ყველასთან მეტ-ნაკლებად ძნელია, მაგრამ ძალიან გამიჭირდა-მეთქი, ვერ ვიტყვი. ჩვეულებრივი განწყობით შევედი შეცვლაზე.

— აზერბაიჯანთან მატჩში კი მცირე ტრავმის გამო შეგცვალეს...

— ნეკნებში მომარტყეს და ფილტვები მეტკინა, სუნთქვა შემეკრა. სერიოზული არაფერია. ბაქოში კარგი თამაში იყო, მაგრამ ცუდია, რომ გოლები ვერ გაგვაქვს. თამაში თითქოს გამოგვდის, მაგრამ რაღაც გვაკლდება. ვფიქრობ, მოსაგები გვქონდა აზერბაიჯანთან.

— ყველა ასაკობრივ ნაკრებში, პლუს ეროვნულშიც გათამაშებენ. 16 წლისა ხომ არ გადაიღალე?

— არა, რა დროს დაღლაა... ახლა დიდ სტიმულს ვგრძნობ, ჩემს თავს ვეუბნები, რომ უფრო და უფრო უნდა მოვუმატო.

— ბოლო დროს ხშირად იღებ ყვითელ ბარათებს. გიჭირს, თავი ხელში აიყვანო და მინდორზე ხშირად არ ეკამათო მსაჯებს?

— ამაზე უკვე ბევრმა მომცა შენიშვნა და ვცდილობ, გამოვასწორო. რა თქმა უნდა, არც მე მომწონს და აუცილებლად მოვთოკავ ნერვებს.

— როგორ ფიქრობ, ყველაზე მეტად რა შეგმატა ეროვნულ ნაკრებში თამაშმა?

— გამოცდილება. ისეთი ძლიერი ფეხბურთელების გვერდით ვთამაშობ, ერთი-ორი წლის წინ მხოლოდ რომ ვოცნებობდი.

**ილია ნანობაშვილი**

# რამდენიმე დახმარება ზურაბ ხიზანიშვილს

**ხანგრძლივი** პაუზის შემდეგ, როგორც იქნა, „ბლექბერნის" შემადგენლობაში გამოჩნდა ზურაბ ხიზანიშვილი. ტრავმის შემდეგ ზურამ ვერ და ვერ მოაწონა თავი მარკ ჰიუზს და 18-კაციან განაცხადში მოხვედრაც უჭირდა. ჩვენებურს „მხსნელად" ანდრეი შევჩენკო მოევლინა, რომელმაც მძიმე ტრავმა მიაყენა ხიზანიშვილის კონკურენტ კრისტიან სამბას და უეფას თასის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე ბერძნულ „ლარისასთან" მატჩში ქართველი განცხადში გამოჩნდა. აქ კი ხიზანიშვილს მოედანზე გამოსვლაში უკვე თანაგუნდელები „დაეხმარნენ" — კაპიტანმა ნელსენმა და ოიერმა პირველ ტაიმში დაცვის ცენტრი აშკარად ჩააგდეს და ბერძნებისგან ორი ბურთი მიიღეს.

მეორე ტაიმში ბერძნებმა დაწოლა გააძლიერეს და ჰიუზი იძულებული გახდა, ხიზანიშვილი დანი მოედანზე შეეშვა — 57-ე წუთიდან მატჩის ბოლომდე ხიზანმ კარგად ითამაშა და არ არის გამორიცხული, ამ უქმეებზე ძირითადშიც ვიხილოთ.

„ბლექბერნმა" კი ეს მატჩი 0:2 წააგო და უეფას თასის ჯგუფური ეტაპის გზა ძალიან გაირთულა.



**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ახლოს აფხაზეთთან



[illegible] ფოტო

11 ოქტომბერს ზუგდიდის ცენტრალურ სტადიონზე ერთმანეთს სამეგრელოსა და აფხაზეთის ნაკრებები შეხვდებიან. ცხადია, აფხაზეთის ნაკრებში აფხაზეთიდან დევნილი ფეხბურთელები ითამაშებენ. გუშინ აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ მურად ანჯაფარიძეს დავუკავშირდით...

— საიდან წამოვიდა ეს იდეა?

— აფხაზეთისა და სამეგრელოს ფეხბურთის ფედერაციების ერთობლივი შეთანხმებით გადავწყვიტეთ ამ მატჩის ჩატარება. ამ იდეას მხარი ერთიანი ნაციონალური პარტიის სამეგრელოს რეგიონის წარმომადგენლებმაც დაუჭირა. გვეხმარება საქველმოქმედო ფონდი „ხობი". მატჩი ზუგდიდში ჩატარდება — ეს იქნება დევნილების მშობლიურ კუთხესთან კიდევ ერთი მიახლოება.

— **ნაკრებები რა პრინციპით შეირჩევა და ვინ იქნებიან მწვრთნელები?**

— აფხაზეთის ნაკრების საბაზო გუნდი „ამერი" იქნება — ამ გუნდიდან ხუთი ფეხბურთელი ითამაშებს და მწვრთნელადაც გიორგი ჩიხრაძე ავირჩიეთ. ხვალ ჩიხრაძეს 20 ფეხბურთელის სიას გადავცემთ, მისი შეხედულებისამებრ ეს სია ან გაიზრდება ან შემცირდება...

სამეგრელოს ნაკრების საბაზო გუნდი კი „მგლებია" და ალბათ მწვრთნელი ბესიკ შეროზია იქნება. როგორც ვიცით, „მგლების" გარდა გუნდში ხობელი და ფოთელი ახალგაზრდა ფეხბურთელები ითამაშებენ და არა მარტო სამეგრელოს, არამედ მთელ საქართველოს ლამაზ სანახაობას აჩუქებენ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## უეფას თასი 2007-2008

### მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

**არტმედია** (სლოვაკეთი) 1:2 **პანათინაიკოსი** (საბერძნეთი)
1:0 ბალენარი (47), 1:1 დ. პაპადოპულოსი (62პ), 1:2 ნდიაე (90)

**სპარტა** (ჩეხეთი) 0:0 **ოდენსე** (დანია)

**ემპოლი** (იტალია) 2:1 **ციურიხი** (შვეიცარია)
1:0 პიკოლო (41), 2:0 ანტონინი (48პ), 2:1 ალფონსო (74)

**სოშო** (საფრანგეთი) 0:2 **პანიონიოსი** (საბერძნეთი)
0:1 ჯებური (27), 0:2 დ. ფერნანდესი (54)

**ანდერლეხტი** (ბელგია) 1:1 **რაპიდი** (ავსტრია)
1:0 აკინი (11), 1:1 ჰოფმანი (82)

**ფერეირა** (პორტუგალია) 0:1 **ალკმაარი** (ჰოლანდია)
0:1 პოკონილი (89)

**ზენიტი** (რუსეთი) 3:0 **სტანდარდი** (ბელგია)
1:0, 2:0 არშავინი (38, 60), 3:0 კიმი (86)

**ლევერკუზენი** (გერმანია) 3:1 **ლეირია** (პორტუგალია)
1:0 კისლინგი (19), 1:1 პაულუ (29), 2:1 როლფესი (32), 3:1 კისლინგი (78)

**ვილიარეალი** (ესპანეთი) 4:1 **ბატე** (ბელარუსი)
1:0 ნიჰათი (5), 2:0 სენა (17), 3:0 ნიჰათი (50), 4:0 ტომასონი (54), 4:1 ჟავნერჩიკი (67)

**სიონი** (შვეიცარია) 3:2 **გალათასარაი** (თურქეთი)
1:0 დომინგესი (7), 2:0 ვანჩუაკი (10), 3:0 ალოუ (32), 3:1 ლინკოლნი (39), 3:2 ლინდეროტი (67)

**ატლეტიკო** (ესპანეთი) 4:0 **ერჩიესი** (თურქეთი)
1:0 მისტა (12), 2:0 ფორლანი (17), 3:0, 4:0 ლუის გარსია (82, 90)

**ტამპერე** (ფინეთი) 2:3 **ბორდო** (საფრანგეთი)
1:0 ვისი (7), 1:1 კავენაგი (47), 2:1 ტ. პეტრესკუ (68), 2:2 კავენაგი (90), 2:3 მიკუ (90)

**ხეტაფე** (ესპანეთი) 1:0 **ტვენტე** (ჰოლანდია)
1:0 უჩე (90)

**გროცლინი** (პოლონეთი) 0:1 **ცრვენა ზვეზდა** (სერბეთი)
0:1 ბასტა (19)

**მიდტიულანდი** (დანია) 1:3 **ლოკომოტივი** (რუსეთი)
1:0 კოლინზი (30), 1:1 სამედოვი (61), 1:2 ბილიალეტდინოვი (70), 1:3 სიჩოვი (90)

**გრონინგენი** (ჰოლანდია) 1:1 **ფიორენტინა** (იტალია)
1:0 ლოვრე (26), 1:1 სემიოლი (66)

**რაბოტნიჩკი** (მაკედონია) 1:1 **ბოლტონი** (ინგლისი)
1:0 მილისავლიევიჩი (53), 1:1 მეიტე (84)

**აეკ** (საბერძნეთი) 3:0 **ზალცბურგი** (ავსტრია)
1:0 ჯერალდო (3), 2:0 რივალდო (58), 3:0 პ. კონე (82)

**ნიურნბერგი** (გერმანია) 0:0 **რაპიდი** (რუმინეთი)

**ევერტონი** (ინგლისი) 1:1 **მეტალისტი** (უკრაინა)
1:0 ლესკოტი (24), 1:1 ზეზე (78)

**ტოტენჰემი** (ინგლისი) 6:1 **ანართოსისი** (კვიპროსი)
1:0 კაბული (5), 2:0 დოუსონი (40), 3:0 კინი (42), 4:0 ბენტი (43), 5:0 დეფო (65), 5:1 ზლოგარი (81), 6:1 დეფო (90)

**სარაევო** (ბოსნია) 1:2 **ბაზელი** (შვეიცარია)
0:1 ალვეში (11), 0:2 ერგიჩი (63), 1:2 მილოშევიჩი (90)

**აუსტრია** (ავსტრია) 2:0 **ვოლერენგა** (ნორვეგია)
1:0 კულჯიჩი (41), 2:0 ლასნიკი (62)

**ჰ. თელ ავივი** (ისრაელი) 0:0 **აიკ** (შვედეთი)

**არისი** (საბერძნეთი) 1:0 **სარაგოსა** (ესპანეთი)
1:0 ა. პაპადოპულოსი (7)

**დინამო** (რუმინეთი) 1:2 **ელფსბორგი** (შვედეთი)
1:0 ნიკულესკუ (8), 1:1, 1:2 კეენე (10, 31)

**ლოკომოტივი** (ბულგარეთი) 1:3 **რენი** (საფრანგეთი)
0:1 ლეროი (38), 1:1 დაფჩევი (50), 1:2 შირუ (73), 1:3 ლეროი (90)

**ბრანი** (ნორვეგია) 0:1 **ბრიუგე** (ბელგია)
0:1 სტერკელე (85)

**ბაიერნი** (გერმანია) 1:0 **ბელენენსეში** (პორტუგალია)
1:0 ტონი (34)

**აბერდინი** (შოტლანდია) 0:0 **დნეპრო** (უკრაინა)

**ჰერენვენი** (ჰოლანდია) 5:3 **ჰელსინგბორგი** (შვედეთი)
1:0 ბრუდლი (20), 2:0, 3:0 სიბონი (30, 34), 3:1 ჰ. ლარსონი (53), 3:2 ომოტოიოსი (57), 4:2 ბაკი (59), 5:2 ბრუდლი (60), 5:3 ჰ. ლარსონი (70პ)

**ტულუზი** (საფრანგეთი) 0:0 **ცსკა** (ბულგარეთი)

**სამპდორია** (იტალია) 2:2 **ოლბორგი** (დანია)
1:0 დელვეკიო (18), 1:1 პრიკა (19), 1:2 ა. იოჰანსონი (54), 2:2 ბელუჩი (58)

**სპარტაკი** (რუსეთი) 5:0 **ჰეკენი** (შვედეთი)
1:0, 2:0, 3:0 პავლიუჩენკო (6, 13, 19), 4:0 ველინტონი (56), 5:0 ტიტოვი (57)

**ჰამარბი** (შვედეთი) 2:1 **ბრაგა** (პორტუგალია)
1:0 პ. ანდერსონი (49), 1:1 ლინცი (58), 2:1 პ. ანდერსონი (65)

**ლარისა** (საბერძნეთი) 2:0 **ბლექბერნი** (ინგლისი)
1:0 ბაკაიოკო (31), 2:0 კლეიტონი (33)

**ბოლესლავი** (ჩეხეთი) 0:1 **პალერმო** (იტალია)
0:1 იანკოვიჩი (90)

**დინამო** (ხორვატია) 0:1 **აიაქსი** (ჰოლანდია)
0:1 რომედალი (62)

### ინგლისი

კონფერენსლიგა
გადადებული მატჩი

ჰისტონი 1:0 ოქსფორდი

### შვედეთი

სუპერეტა
XXV ტური

ლანდსკრონა 2:1 სირიუსი

### ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XX ტური

იარო 0:3 მიუპა

ვიკინგიტი 0:4 ლაჰტი

ინტერი 0:2 მარიეჰამნი



გიორგი კიკნაძე

# ერთ თარგზე მოჭრილი სასჯელები

**საქართველოს** თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპის პირველ ტურში და ეროვნული ჩემპიონატის გამოტოვებულ მატჩში („დინამო" — „სიონი"), მსაჯებმა წითელი ბარათი იმდენჯერააფრიალეს, კომუნისტების დროინდელ ალლუმზე ეგონებოდა კაცს თავი.

ცხადია, პროფლიგის სადისციპლინო ტექნიკურმა კომიტეტმა დამნაშავეთა საკითხი უმალ განიხილა და შესაბამისი ვერდიქტებიც გამოიტანა.

„ვიტ ჯორჯია" — „ლოკომოტივის" სათასო მატჩისას გაძევებული სამი ლოკომოტიველი, ნიკა გუშარაშვილი, მიხეილ ჟღენტი და ირაკლი სამხარაძე ორ-ორ მატჩს გამოტოვებენ და პროფესიული ფეხბურთის ლიგის საკეთილდღეოდ 300-300 ლარს გადაიხდიან.

ასევე 300 ლარით დაჯარიმდა და გორის „დილასთან" მომდევნო მატჩს ტრიბუნიდან უყურებს ლოკომოტიველთა მთავარი მწვრთნელი გიორგი კიკნაძეც.

ორი ფეხბურთელი — რევაზ გეწაძე და იაკობ დეისაძე „ოლიმპი" — „მერანის" მატჩისას გააძევეს და სასჯელიც ერთნაირი გამოუტანეს: ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია და 300-300 ლარი.

ყველაზე მცირე სასჯელი ბოლნისის „სიონის" კამერუნელ ლეგიონერ ერიკ რომეო ჩასემს ერგო. „დინამოსთან" ორი ყვითელი ბარათის მიმღები აფრიკელი თავდამსხმელი ერთ მატჩს გამოტოვებს და პროფლიგის ხაზინას ოდენ 50 ლარით შეავსებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# პორტუგალიამ საქართველო მეორე ჯერზე დაამარცხა



**საქართველოს** 17-წლამდელთა ნაკრებმა პორტუგალიური ტურნე წაგებით დაასრულა — პორტუგალიელ თანატოლებთან მეორე მატჩში, რომელიც ქალაქ სანტარემში გაიმართა, ჩვენებურები 0:1 დამარცხდნენ.

შეხვედრა ორმხრივ იერიშებში წარიმართა. გოლი 34-ე წუთზე საქართველოს ნაკრების მეკარე თორნიკე ნიორაძის შეცდომის შედეგად გავიდა — მან მარიო რუის დარტყმული უხეიროდ მოიგერია, დამატებაზე კი რაფაელმა იმარჯვა.

ამ მომენტის გარდა ნიორაძეს შეცდომა არ დაუშვია და ორჯერ კარი აშკარა გოლისგანაც იხსნა.

ქართველები ბევრს ეცადნენ, ანგარიში გაეთანაბრებინათ, კარგი მომენტები შეექმნათ ჯანო ანანიძეს (ორჯერ), ნიკა ძალამიძეს და ირაკლი შეყილაძეს, მაგრამ ვერ გამოიყენეს.

შეგახსენებთ, პირველი მატჩი ქართველებმა 2:1 მოიგეს.

პორტუგალიური ამხანაგური მატჩები ჰერბერტ ცანკერის გუნდის 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ბოლო სამზადისი იყო. დღეს ნაკრებმა პირინეის ნახევარკუნძული დატოვა და შავი ზღვის სანაპიროსკენ გაემგზავრა.

შესარჩევი ეტაპი 24 სექტემბერს ბულგარეთში იწყება და ჩვენებურთა პირველი მეტოქე ხორვატი თანატოლები იქნებიან. 26 სექტემბერს — უნგრელებს, 29-ში კი ბულგარელებს შეხვდებიან.

ელიტ-რაუნდში ორი საუკეთესო გუნდი გავა.

საქართველომ პორტუგალიასთან ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ნიორაძე, როგვავა (პაჭკორია 72), მორცხულავა, კაკუშაძე, რობაქიძე (მუმლაძე 69), რაფავა (გუგუჩია 41), შონია (ვორდეზიანი 55), გურეშიძე (კაჭახიძე 69), ანანიძე, ძალამიძე, შეყილაძე.*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# უკეთესობა იგრძნობა

## ჭელიძე კონფლიქტს უარყოფს და ჩემპიონობაზე ფიქრობს

**გიორგი ნოდარის ძე ჭელიძის მისვლა „ზესტაფონს" გვარიანად შეეშველა. 21 წლის თავდამსხმელი მაგარ ფორმაშია და აგერ წინა ტურში ხომ „დილას" დუბლი შეუსრულა, თანაც ლამაზ-ლამაზი გოლებით, თასზე „კახეთთანაც" ორი გოლით გამოიჩინა თავი.**

**„პაჭელო" „ზესტაფონში" განათხოვრებითაა — ისევ მოსკოვის „ლოკომოტივს" ეკუთვნის.**

**ჭელიძეს ფეროელთა წარმატებულ თამაშზე და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში არგამოძახების მიზეზებზე ვკითხეთ...**

— შაბათს ზესტაფონში საქართველოს ჩემპიონი რუსთავის „ოლიმპი" ჩამოდის. რას იტყვი მეტოქეზე?

— რუსთაველებს კარგი გუნდი ჰყავთ. ჩემპიონთან თამაში თავისთავად პრინციპულია — „ოლიმპი" ყველანაირად ეცდება, ქულები აგვართვას, მაგრამ ჩვენ არაფრის დათმობას არ ვაპირებთ. ამ მატჩისთვის ყველა სერიოზულად ვემზადებით და იმედი მაქვს, გავიმარჯვებთ.

— **დიდი ხანი არ არის, რაც „ზესტაფონში" თამაშობ, მაგრამ ჩანს, გუნდს იოლად შეეჩვიე და უკვე გოლებიც გაგაქვს. როგორ ფიქრობ, ოპტიმალურ ფორმაში ხარ?**

— გოლები კი გავიტანე, მაგრამ ოპტიმალურ ფორმამდე ჯერ კიდევ მიკლია.

— **საქართველოს ჩემპიონატში ადრეც გითამაშია და ახლა, რუსეთ-უკრაინიდან დაბრუნებულს ჩვენს ჩემპიონატზე რა შთაბეჭდილება შეგექმნა?**

— ჩემი აზრით, გასულ წლებთან შედარებით, ოდნავ უკეთესი მდგომარეობაა.

— **წლეულს „ზესტაფონის" მიზანი ჩემპიონობა და თასის აღებაა. კონკურენტებად ვის მიიჩნევ?**

— „დინამო", „ამერი", „ვიტ ჯორჯია", „ოლიმპი" და სხვა გუნდებიც არიან, ფავორიტების გამწარება რომ შეუძლიათ. ისე, „ზესტაფონს" ყველა პირობა აქვს შექმნილი, სანუკვარ მიზანს რომ მიაღწიოს.

— **ალბათ საქართველოს ჩემპიონატის ბომბარდირობაზეც ფიქრობ...**

— რომელი თავდამსხმელი არ ოცნებობს ამაზე?! ჩემი საქმე გოლების გატანაა და ვნახოთ... „ზესტაფონში" დეკემბრამდე ვარ იჯარით. მოსკოვის „ლოკომოტივში" 1 იანვარს უნდა ვიყო.

— **შეიძლება, მეორე წრისთვისაც „ზესტაფონში" დარჩე?**

— ყველაფერი კლუბის ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული. ისე, ამას არ გამოვრიცხავ.

— **საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში პოლონეთთან მატჩის შემდეგ მწვრთნელმა პეტარ სეგრტმა აღარ გამოგიძახა. ითქვა, ხორვატთან კონფლიქტი მოუვიდაო...**

— ჩვენს შორის არანაირი უთანხმოება არ ყოფილა. უბრალოდ, სეგრტმა ამ ეტაპზე ასე ჩათვალა საჭიროდ.

**ნუკრი ლოლაძე**





ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრეზიდენტის თაოსნობით ეძღვნება ვიტალი დარასელიას იუბილეს

**ვიტალი დარასელია** ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ხმაურიანი გოლის ავტორია — გოლისა, რომელმაც მთელი ქვეყანა მეცხრე ცაზე აიყვანა.

მუხთალმა წუთისოფელმა 25 წლის ასაკში გამოასალმა სიცოცხლეს ფეხბურთელი, ვისაც ვინძლო, კარიერის უფრო წონიანი მატჩი და გოლიც წინ ელოდა.

4 ოქტომბერს ვიტალის ხსოვნისადმი მიძღვნილი მატჩი გაიმართება, რომელიც ამავდროულად მის დაბადებიდან 50 წლისთავს ეძღვნება. ერთმანეთს თბილისის „დინამოსა" და საბჭოთა კავშირის ვეტერან ფეხბურთელთა გუნდები შეხვდებიან.

საინტერესოა, რომ მატჩის ინიციატორი საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია და სწორედ საქართველოს მთავრობა გაიღებს ყველა ხარჯს, მათ შორის, ფეხბურთელთა მგზავრობისასაც.

რა შემადგენლობით ითამაშებენ გუნდები, ამას უახლოეს დღეებში შევიტყობთ.

**ილია ნანობაშვილი**

# საქართველოს ჩემპიონატი

## პირველი ლიგა

### დასავლეთი

გადადებული მატჩი

**ზესტაფონი 2 0:0 კოლხეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეტალურგი | 5 | 4 | 1 | 0 | 10:2 | 13 |
| მეშახტე | 5 | 4 | 0 | 1 | 11:9 | 12 |
| კოლხეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 6:2 | 10 |
| ზესტაფონი 2 | 5 | 2 | 2 | 1 | 7:4 | 8 |
| უნივერსიტეტი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:4 | 7 |
| ფაზისი | 5 | 2 | 0 | 3 | 8:10 | 6 |
| ხობი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:10 | 6 |
| ტორპედო | 5 | 1 | 2 | 2 | 6:7 | 5 |
| მარტვილი | 5 | 0 | 3 | 2 | 2:4 | 3 |
| სამტრედია | 5 | 0 | 0 | 5 | 5:14 | 0 |

# გაგიჟებას წასვლა ვამჯობინე

## გოგა გახოკიძე კატეგორიულია: კლაუს ტოპმიოლერი უნდა გაგრძელდეს!

**გოგა გახოკიძემ 31 წლისამ დაანება ფეხბურთს თავი და ჯერჯერობით ფეხბურთში საქმიანობას არ გეგმავს. გახოკიძემ ეს გადაწყვეტილება 9 თვის წინ მიიღო — მძიმე იყო მისთვის, ტრავმებმა საყვარელ საქმესთან აღარ მიუშვეს. გოგას პირადი ამბებიც ვკითხეთ და, ბუნებრივია, ზოგადად, ქართულ ფეხბურთზეც ვესაუბრეთ...**



— ადრე „სარბიელს" უთხარი, თუ ფეხი უკეთესად მექნება, შეიძლება გავაგრძელო ფეხბურთის თამაშიო. ამ მხრივ ახალი ხომ არაფერია?

— არა, საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ თამაშს შევეშვა. დავბრუნდებოდი, მაგრამ ისევ ტრავმა რომ მივიღო, გავგიჟდები. ამდენი ნერვიულობის თავი აღარ მაქვს.

— ამჟამად რას საქმიანობ?

— ახლა რამდენიმე დღით ჰოლანდიაში ვარ პირად საქმეებზე. საქართველოდან ჰოლანდიაში ხშირად მიწევს ხოლმე ჩამოსვლა.

— მწვრთნელობას ხომ არ აპირებ?

— უახლოეს მომავალში ფეხბურთში არანაირ საქმიანობას არ ვგეგმავ.

**— საქართველოს ნაკრების მატჩი ხომ არ გინახავს უკრაინასთან?**

— სტადიონზე ვიყავი. უკრაინელებს მეტი შანსი ჰქონდათ მოგების, მაგრამ ფრე მაინც ლოგიკური შედეგი იყო. ჩემი აზრით, დღევანდელი ნაკრები გასულ წლებთან შედარებით უფრო დალაგებულ ფეხბურთს თამაშობს.

**— ლუქსემბურგთან და აზერბაიჯანთან ფრეებზე რაღას იტყვი?**

— საქართველოს ნაკრებს იმ დონის ფეხბურთელები ჰყავს, მაგათ ნამდვილად უნდა უგებდნენ და ამის გამო კრიტიკას აშკარად იმსახურებენ.

**— ბოლო ხანს ეროვნულ ნაკრებში რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოჩნდა...**

— ეს თავისთავად დადებითი მომენტია. მალე ისინი კარგ ევროპულ გუნდებში გადავლენ და საქართველოს ნაკრებსაც უფრო მეტ სარგებელს მოუტანენ.

**— საქართველოს ნაკრების მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერს კი, შესაძლოა, კონტრაქტი გაუგრძელონ. საინტერესოა, შენ რას ფიქრობ ამის თაობაზე...**

— ტოპმიოლერი კარგი სპეციალისტია და კონტრაქტი აუცილებლად უნდა გაუხანგრძლივონ. უცებ არაფერი კეთდება და ამ კაცსაც უნდა ვაცალოთ. აქამდე რომ ვცვლიდით მწვრთნელს ხშირ-ხშირად, ამით რა მივიღეთ? ჩვენ გვინდა, რომ მცირე ხანში მოვუგოთ საფრანგეთსაც და იტალიასაც, მაგრამ ასე არ ხდება.

**— თქვენ დროს ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი თამაშობდა საქართველოს ნაკრებში, მაგრამ სერიოზული შედეგი ვერ მივიღეთ. როგორ ფიქრობ, რისი ბრალი იყო?**

— ერთი და ორი გრანდი თითქმის სულ გვყავდა ჯგუფში, თანაც მაშინდელ ნაკრებს გამოცდილება აკლდა.

**— საქართველოში თუ ხშირად ხარ, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს არ ესწრები?**

— მოუცლელობის გამო ვერც ერთ ტურს ვერ დავესწარი. ისე, ჩვენს ჩემპიონატს თუ არ მივხედეთ, წარმატებაზე ფიქრი ზედმეტია. ხომ ხედავთ, რუსები და უკრაინელები რამხელა ფულს დებენ, ჩემპიონატი რომ გააძლიერონ? ასე უნდა მოხდეს ჩვენთანაც.

**— ამის გარდა, საქართველოში ბავშვთა ფეხბურთსაც არ ექცევა ისეთი ყურადღება, როგორიც საჭიროა...**

— ასეა. ჰოლანდიაში, სადაც ვთამაშობდი, პსვ-ში და „ტვენტეში", ბავშვთა ფეხბურთს უდიდეს ყურადღებას აქცევენ. მაგალითად, სადაც დიდი გუნდი ვარჯიშობდა, გვერდით ავარჯიშებდნენ პატარა ბავშვებს, მათი მაგალითი რომ გადაეღოთ. არჩევენ საუკეთესო სპეციალისტებს ბავშვებთან სამუშაოდ. არავინ დაიჯეროს, რომ ჰოლანდიელი ბავშვი ქართველზე ნიჭიერია, მაგრამ იქ სწორად იზრდებიან, ჩვენთან კი ელემენტარული პირობები არ არსებობს. ბურთის, ფორმის და დაბანის პრობლემაა და ახალგაზრდას თავისთავად ბევრ რამეს აკლებს — ველარ ვარჯიშობენ ხეირიანად და ამიტომაც იკარგებიან საქართველოში ტალანტები.

**ნუკრი ლოლაძე**

# სანდრო იაშვილმა გოლები დაიწყო

**სანდრო იაშვილი** ნელ-ნელა უშინაურდება შვეიცარიული „თუნის" ძირითადს და მარტო ძირითადს? საქართველოს ჩემპიონატის გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირმა და თავდამსხმელმა უკვე გოლებიც „გამოფინა": ჯერ ფრანგულ „სტრასბურს" დუბლი შეუსრულა, მერე კი შვეიცარიის თასის მეთექვსმეტედფინალში „სპიეცს" სტუმრად ერთი გაუტანა.

„თუნმა" „სტრასბურს" 2:1 სძლია, „სპიეცი" კი 4:0 გაანადგურა.

სანდრომ ფრანგებთან 82 წუთი ითამაშა, თასზე კი — 76.

„იაშვილი ფორმაში შედის. ჩვენ სეზონის დასაწყისშივე ვთქვით, რომ იგი უთამაშებელი იყო და თავიდან გაუჭირდებოდა. ეს თვითონ სანდრომაც იცოდა. რა თქმა უნდა, ჩვენ მისი დიდი იმედი გვაქვს" — თქვა „თუნის" მწვრთნელმა ფრანკ ვან ეკმა.

მომავალ ტურში „თუნი" შვეიცარიის ჩემპიონატში „ლუცერნს" მასპინძლობს და, სავარაუდოდ, იაშვილი ძირითადში იქნება.

**ილია ნანობაშვილი**




# საბოშანსი ქართველებს

**ოთარ მარცვალაძე,** დავით იმედაშვილი და კახა ალადაშვილი კიევის „დინამოს" ეკუთვნიან, ამჟამად სხვა კლუბებში არიან განათხოვრებულნი და ზამთარში უნდა დაბრუნდნენ კიევში.

ეს ახალი ამბავი არაა, მაგრამ ახალი ისაა, რომ „დინამოს" თავკაცი შეეცვალა — ანატოლი დემიანენკოს ნაცვლად გუნდს იოჟეფ საბო გაწვრთნის.

ვინ იცის, საბოს დანიშვნა ქართველებისთვის შანსი იყოს, მით უმეტეს, რომ კიევის „დინამოში" ზამთრის შესვენებაზე დიდ გადაადგილებებს ელიან — ბევრ ფეხბურთელს გაუშვებენ გუნდიდან. თანაც, „დინამოს" ახლა ქართველი გენერალური მენეჯერი ჰყავს — რევაზ ჭოხონელიძე.

**ილია ნანობაშვილი**

# ხოჯავა ანჟის დაუბრუნდა



**რა** მიზეზით იყო გოჩა ხოჯავა მახაჩყალის „ანჟიდან" წამოსული, ვერ გეტყვით, მაგრამ იგი გუშინ დაუბრუნდა დაღესტნურ კლუბს. 22 წლის ქართველი გამთამაშებელი თბილისში ყოფილა, გუშინ კი „ანჟისთან" ერთად ივარჯიშა და თქვა, მომავალ ტურში სათამაშოდ მზად ვარო.

ხოჯავაზე „ანჟის" ვებგვერდზე წერია, გულშემატკივრების საყვარელი ფეხბურთელიაო.

და რა ისმის ახალი მიხეილ აშვეთიასა და ვალერი აბრამიძის „ანჟიში" გადასვლაზე? მხოლოდ ის, რომ ორივემ 2008 წლის ბოლომდე მოაწერა კონტრაქტს ხელი, მაგრამ ეს წინასწარი კონტრაქტებია — დაღესტნურ კლუბს ჯერაც არ მიეცა ახალი ფეხბურთელების დარეგისტრირების უფლება და, სავარაუდოდ, სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე ოფიციალურად დაარეგისტრირებს ჩვენიანებს.

**ლუკა თალაკვაძე**

# კობიაშვილი ისევ საეჭვოა

**„ჩუთშაბათს** გუნდთან ერთად ვივარჯიშებ და შაბათის მატჩისთვის მზად ვიქნები" — განაცხადა „კიკერთან" საუბარში „შალკეს" ქართველმა ნახევარმცველმა ლევან კობიაშვილმა.

გუშინდელი ვარჯიშისას კი გაირკვა, რომ „არმინიასთან" კობიაშვილის თამაში ისევ საეჭვოა — გერმანელი ჟურნალისტების ცნობით, მას ტრავმა ბოლომდე ჯერაც არ მოურჩენია.





რომან აბრამოვიჩი



ავრამ გრანტი

# განსაკუთრებულის განსაკუთრებული დასასრული
## ჩელსიმ გრანტი მიიღო



„**ქედმაღლობაში** არ ჩამითვალოთ, მაგრამ მე ჩემპიონთა თასი მოვიგე და ამიტომ განსაკუთრებული ვარ" — ეს სიტყვები 2004 წლის ივნისში თქვა კაცმა, რომელიც გუშინ „ჩელსის" გაეყარა.

კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე ეწერა: „ჩელსიმ" და ჟოზე მაურინიუმ ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე კონტრაქტი გაწყვიტეს".

ასე დასრულდა „განსაკუთრებულის" ინგლისური კარიერა. გუნდს დროებით ავრამ გრანტი უთავკაცებს, რომელიც ივლისიდან ტექნიკურ დირექტორად მუშაობდა.

ოთხშაბათს საღამოს ჟოზე მაურინიუმ ფრენკ ლამპარდს დაურეკა და უთხრა: „მე „ჩელსის" მწვრთნელი აღარ ვარ".

პორტუგალიელი ლამპარდთან მეგობრობდა და ამიტომაც პირველად მას აცნობა. მერე სხვებსაც გააგებინა ახალი ამბავი.

იმავე საღამოს რომან აბრამოვიჩი ინგლისიდან საქმეებზე უნდა წასულიყო, მაგრამ ვიზიტი გადადო და საგანგებო შეკრება გამართა. „სანის" ცნობით, შეკრება ჯონ ტერისა და ჟოზე მაურინიუს ჩხუბმა გამოიწვია. მწვრთნელი კაპიტნის ფორმით უკმაყოფილო ყოფილა და ექიმებისგან ახსნა-განმარტება მოუთხოვია. ეს ტერის გაუგია და „რუსენბორგთან" მატჩამდე და მის შემდეგაც მაურინიუსთან უკამათია.

დრო იყო, კაპიტანს მწვრთნელის დაცვას ვერავინ დაასწრებდა, როცა პორტუგალიელს აკრიტიკებდნენ.

ტერი-მაურინიუს ჩხუბმა უფროსების ყურამდე მიაღწია და ჩათვალეს, რომ მწვრთნელი საკუთარ თავს და გუნდს ველარ აკონტროლებდა. სწორედ ამის შემდეგ შეიკრიბნენ აბრამოვიჩი, ტექნიკური დირექტორი ავრამ გრანტი და „ჩელსის" პატრონის ნდობით აღჭურვილი პირი, ვინმე იუჯინ ტენენბაუმი. არადა, მანამდე ტენენბაუმი, „ჩელსის" თავმჯდომარე ბრიუს ბაკი და აღმასრულებელი შეფი პიტერ კინიონი ფილმის პრეზენტაციაზე აპირებდნენ წასვლას. დოკუმენტურ ფილმს „ლურჯი რევოლუცია" ჰქვია და აბრამოვიჩის „ჩელსიზეა" გადაღებული.

მოკლედ, სამეულმა ჟოზე მაურინიუს მოხსნა გადაწყვიტა და კიდეც აასრულა. „სანისვე" ცნობით, რომან აბრამოვიჩი „რუსენბორგთან" მატჩის მერე გაცოფებული ყოფილა და უკითხავს: „რატომ თამაშობს გუნდი მოსაწყენ ფეხბურთს? რატომ ვერ გააქვთ ბევრი გოლი? რატომაა სტადიონზე მხოლოდ 24 ათასი გულშემატკივარი? მილიონერის აზრით, „ჩელსი" ნელ-ნელა დაცინვის ობიექტად იქცა, მას კი სურდა, რომ გუნდს ლამაზი ფეხბურთი ეთამაშა და ასე მოეგო მატჩები, რაც მაურინიუს ხელში ვერ მოხერხდა.

„ასტონ ვილასთან" წაგება და „ბლექბერნთან" ფრე აბრამოვიჩმა ჩაყლაპა, მაგრამ „რუსენბორგი" კი ველარ გადაიტანა. ამას ისიც დაემატა, რომ „რუსენბორგთან" მატჩის წინა დღეს მაურინიუმ კიდევ ერთხელ დაიჩივლა სატრანსფერო პოლიტიკაზე და პატრონის გასაგონად თქვა, მოგებას და ჯილდოებს ითხოვენ, კარგი ფეხბურთელების ყიდვა კი არ უნდათო.

„ჩელსის" ფრენკ ლამპარდი და დიდიე დროგბა ჰყავდა დაშავებული, რომლებზეც გუნდის გოლების ნახევარი მოდის. მათ გარეშე ზედიზედ სამი შეხვედრა ვერ მოიგეს და ერთი გოლი გაიტანეს.

„სანი" ამტკიცებს, რომ ყველაფრის თავი და თავი ანდრეი შევჩენკოა. სწორედ მისი მოსვლის შემდეგ აირია „სტემფორდ ბრიჯი". მაურინიუს უკრაინელი ფორვარდი კი არა, კაკა უნდოდა, მაგრამ აბრამოვიჩმა შევჩენკო დაიჩემა და 30 მილიონი გირვანქაც არ დაიშურა „მილანის" თავდამსხმელში. მილანელი ვერ ჩაეწერა ინგლისურ ფეხბურთში და მაურინიუმაც სათადარიგოდ აქცია, რამაც რუსი მილიარდერი გააბრაზა და ჯიუტად ითხოვდა უკრაინელის თამაშს.

ამ წლის იანვარში აბრამოვიჩმა გუნდში ავრამ გრანტის მიყვანა დააპირა, რომელიც „პორტსმუთში" ტექნიკურ დირექტორად მუშაობდა. იგი ანდრეი შევჩენკოს პირადი მწვრთნელივით იქნებოდა და პრემიერლიგასთან შეგუებაში დაეხმარებოდა, მაგრამ ჟოზე მაურინიუმ ბურთი ააგდო და თავი შეუშვირა — გრანტის „ტრანსფერი" იუარა. იანვარშივე, პორტუგალიელმა პატრონს რამდენიმე ფეხბურთელის ყიდვა სთხოვა და უარი მიიღო, რამაც კონფლიქტი კიდევ უფრო გააღრმავა. იმასაც ამბობდნენ, რომ შევჩენკოს გასახდელში ნალაპარაკები რუსთან მიაქვს, მაგრამ უკრაინელმა ამის დამწერ გაზეთებს უჩივლა და პროცესი კიდეც მოიგო.

გაზაფხულმა მწვრთნელისა და პატრონის კონკლაობაში ჩაიარა. „ჩელსის" ოთხი ჯილდოს მოგების შანსი ჰქონდა. მას შემდეგ, რაც თებერვალში ლიგის თასს დაეუფლა, მაგრამ პრემიერლიგაში „მანჩესტერმა" იმარჯვა, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში კი მაურინიუს გუნდს „ლივერპულმა" მოუგო. „ჩელსიმ" მაისში ასოციაციის თასიც აღმართა „მანჩესტერის" დამარცხების შემდეგ, მაგრამ რომან აბრამოვიჩს ჩემპიონთა თასი უნდოდა.

ივლისში რუსმა თავისი გაიტანა და ავრამ გრანტი მაინც დანიშნა ტექნიკურ დირექტორად, რომელმაც გუშინ დროებით ჩაიბარა „ჩელსი" და კვირას „მანჩესტერს" ესტუმრება. 52 წლის გრანტი თელ ავივის „მაკაბიში" და ჰაიფას „მაკაბიში" მუშაობდა. 2002-ის მაისში ისრაელის ნაკრები ჩაიბარა, 2005-ის ოქტომბერში კი გადადგა და „პორტსმუთში" გადაბარგდა, რომელსაც ებრაელი ბიზნესმენი არკადი გაიდამაკი პატრონობს. „ჩელსიში" გრანტის თანაშემწე სტივ კლარკი იქნება, რომელიც მაურინიუსაც ეხმარებოდა.

რაკი პორტუგალიელი წავიდა და გრანტი დროებითია, უკვე ლაპარაკობენ „ჩელსის" სავარაუდო მწვრთნელებზე. კანდიდატთა შორის არიან დიდიე დეშანი, მარჩელო ლიპი, ფაბიო კაპელო, იურგენ კლინსმანი და ხუანდე რამოსი. დეშანი ამ ზაფხულს წავიდა „იუვენტუსიდან", კაპელო კი — „რეალიდან". მსოფლიოს ჩემპიონი ლიპი წელიწადზე მეტია, უმუშევარია, ისევე, როგორც კლინსმანი, რომლისგანაც აბრამოვიჩმა გასულ ზამთარს უკვე მიიღო უარი.

ჟოზე მაურინიუს დარი მწვრთნელი უსაქმოდ რომ არ დარჩება, ცხადია. მას უკვე უწინასწარმეტყველებენ პორტუგალიის ნაკრების, „ბარსელონას" და „მილანის" თავკაცობას.

მაურინიუ გუშინ დილით მივიდა „ჩელსის" ბაზაზე და იქაურობა უკომენტაროდ დატოვა. მისი მონაგარი კი „ჩელსიში" ასეთია: პრემიერლიგა (2005, 2006), ლიგის თასი (2005, 2007), ასოციაციის თასი (2007) და ინგლისის სუპერთასი (2005). პორტუგალიელის ჯამაგირი 5 მილიონ 200 ათასი გირვანქა იყო, ხოლო აბრამოვიჩმა სამ წელიწადში 214 მილიონი გირვანქის ფეხბურთელები იყიდა.

„ჩელსიდან" ჩემი წასვლის ორი ვარიანტი არსებობს. პირველი: 2010 წელს კონტრაქტის დასრულების შემდეგ წავალ, თუ ახალს არ შემომთავაზებენ. მეორე: თუ მომხსნიან. ჩემი ნებით აქედან წასვლას არ ვაპირებ. ამის შანსი არ არსებობს" — ეს სიტყვები კი ჟოზე მაურინიუმ ამ სეზონის დაწყების წინ თქვა.

ჟოზე კონტრაქტის გაწყვეტის გამო კომპენსაციად დაახლოებით 25 მილიონ გირვანქას მიიღებს. ამ საკითხს მწვრთნელისა და კლუბის ადვოკატები გაარკვევენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# სოლსკიაერი მანჩესტერის მწვრთნელად

**ოლე** გუნარ სოლსკიაერი მოქმედი ფეხბურთელი აღარ არის, თუმცა ნორვეგიელი სხვაგან წასვლას არ ჩქარობს და შეიძლება მალე „მანჩესტერ იუნაიტედის" ერთ-ერთ მწვრთნელადაც დაინიშნოს.

სოლსკიაერმა, რომელსაც კლუბში ოფიციალური თანამდებობა ჯერ არ უკავია, ლისაბონის „სპორტინგის" ახალგაზრდულ გუნდთან ამხანაგურ მატჩში „მანჩესტერის" რეზერვს უთავკაცა. ამბობენ, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ ნორვეგიელს „წითლების" სამწვრთნელო შტაბში ვიხილავთ — სოლსკიაერს ფორვარდთა გაწვრთნა დაევალება.

„ოლესთვის იდეალური იქნება, თუ იგი ჩვენს ერთ-ერთ მწვრთნელად იმუშავებს" — განაცხადა ყოფილი შეგირდის შესახებ „იუნაიტედის" თავკაცმა სერ ალექს ფერგიუსონმა.

**ლადო ხომერიკი**

# კეიროში ნიახური არ არის

**კარლუშ კეიროშმა** გამოაცხადა, რომ უახლოეს მომავალში „მანჩესტერ იუნაიტედის" დატოვებას გეგმავს.

„მინდა, გულდასმით მოვიფიქრო, კარიერის ბოლოს რას გავაკეთებ. „მანჩესტერთან" კონტრაქტი მაკავშირებს, მაგრამ ამქვეყნად ერთხელ ვცხოვრობთ და არ მსურს, იგი მხოლოდ ერთ საქმეს და ერთსა და იგივე კლუბს დავუკავშირო" — თქვა სერ ალექს ფერგიუსონის თანაშემწემ ბრიტანულ მედიასთან.

წარმოშობით მოზამბიკელი პორტუგალიელი სპეციალისტი უკვე კარგა ხანია, „ოლდ ტრაფორდზე" ფერგიუსონის თანაშემწედ მუშაობს. 2003 წლის ივნისში კეიროში მადრიდის „რეალის" მწვრთნელად დაინიშნა, თუმცა წარმატებებს ვერ მიაღწია და ერთი სეზონის შემდეგ ისევ „იუნაიტედს" დაუბრუნდა.

ახლა სეუ კარლუში „ოლდ ტრაფორდიდან" წასვლას აპირებს, თუმცა არც იმას გამორიცხავს, რომ სამომავლოდ „წითელი ეშმაკების" მწვრთნელობა სწორედ მას ჩააბარონ.

„გაზეთებში წავიკითხე, რომ სერ ალექსს სურს, ადრე თუ გვიან „მანჩესტერი" მე ჩამაბაროს. ეს ერთ-ერთი მთავარი მიზეზია, რის გამოც კლუბში დღემდე ვჩერდები. თუმცა ახალი პროექტისთვის თავის გადადებასაც არ ვაპირებ. ყოველი ადამიანის ცხოვრებაში დგება დრო, როცა სხვა, უფრო მაღალ ამბიციებზე ფიქრობს" — ამბობს სამხრეთელი მწვრთნელი.

**ლადო ხომერიკი**



ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

## ჩემპიონთა ლიგა 2007-2008. ჯგუფური ეტაპი. I ტური

# შეუტიე და წააგე

E ჯგუფი

**ბარსელონა 3:0 ლიონი**

1:0 კლერკი (21ს.კ.), 2:0 მესი (82), 3:0 ანრი (90)

**ბარსელონა:** ვალდესი, ძამბროტა, გ. მილიტო, მარკესი, აბიდალი, ტურე იაია, დეკუ, ხავი (დოს სანტოსი 79), რონალდინიო (ინიესტა 66), მესი (კრკიჩი 88), ანრი

**მწვრთნელი:** ფრანკ რაიკარდი

**ლიონი:** ვერკუტრი, კლერკი, სკილაჩი, ბოდმერი, რევეილე, ტულალანი, კალსტრიომი (კ. კეიტა 83), ჟუნინიო, ბელჰადი (ბაროში 62), გოვუ, ბენზემა (ბენ არფა 76)

**მწვრთნელი:** ალენ პერენი

**გაფრთხილება:** ტურე იაია, ანრი

**მსაჯი:** მასიმო ბუსაკა (იტალია)

90 000 მაყურებელი




AFP

„ბარსელონამ" შევებით ამოისუნთქა. წლეულს კატალონიელებმა უკვე საკმარისად ბევრჯერ გაუხეთქეს გული გულშემატკივრებს და დრო იყო, ინჩასებს თავისიანთა ტრიუმფით გაეხარათ. ასეც მოხდა — „კამპ ნოუზე" საამსეზონო ლიგის პირველ მატჩში ბრწყინვალე ლეო მესის აქტიურობით ფრანკ რაიკარდის გუნდმა ფრანგული „ლიონი" დიდი ანგარიშით დაამარცხა.

არგენტინელმა ფრანგების მცველ კლერკს პირველი გოლი საკუთარ კარში გაატანინა, მატჩის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე კი ვერკუტრის კარი თავად დალაშქრა. ბოლოს კი გოლმოწყურებულმა ანრიმ გაიტანა. გალისთვის ეს პირველი ბარსელონური გოლია.

„ლიონს" ულიმღამო თამაში გამოუვიდა, თუმცა ფრანგებმა თავიდან კარგად დაიწყეს. „კამპ ნოუს" სტუმრებს ყრუ დაცვისთვის არ მიუმართავთ და შეტევაზეც გადავიდნენ, მაგრამ „ბარსამ" მალე მატჩზე კონტროლი ხელში ჩაიგდო. მესიმ მეტოქის საჯარიმოში იჯადოქრა და კლერკს ბურთი ვერკუტრის კარში გააგზავნინა.

ალენ პერენის გუნდმა გოლს პასუხი ვერაფრით გასცა და საერთოდ, „ლიონი" იმ ძველი საშიში გუნდის აჩრდილია მხოლოდ. ბენზემამ გალთა იმედები ვერ გაამართლა და ჟუნინიოსაც სარგებელი არ მოუტანია. ასევე ჩრდილში მოექცნენ კალსტრიომი და ტულალანიც.

შესვენებამდე მესის კიდევ უნდა გაეტანა. „პულგამ" თავისი ოსტატობით მტერ-მოყვარე კიდევ ერთხელ გააოგნა და ზღაპრული გოლიც გაჰქონდა, თუმც „ლიონი" მცველმა იხსნა.

მეორე ტაიმში კვლავ „ბარსა" ბატონობდა მოედანზე. კატალონიელთა ყოჩი ისევ მესი იყო, რომელსაც მორიგი სახიფათო დარტყმა არ გამოუვიდა. „ლიონი" კონტრშეტევებს ცდილობდა, თუმც ამაოდ — რაიკარდის დაცვა, ძამბროტა, მარკესი, მილიტო და აბიდალი მაღალ დონეზე იყო.

შემდეგ რაიკარდმა რონალდინიო შეცვალა და მოედანზე ბრაზილიელის მაგივრად გამოსულმა ინიესტამ დაამტკიცა, რომ ძირითადში ადგილს იმსახურებს. ინჩასთა მოწონება ლიგაში „ბარსას" დებიუტანტებმა, ბოიან კრკიჩმა და ჯოვანი დოს სანტოსმაც დაიმსახურეს. ანრიმაც ნანატრი გოლი გაიტანა. თუმცა...

„იყო კი ოთხშაბათს „ბარსა" „კამპ ნოუზე" სუპერგუნდი? თუ იყო, ალბათ მხოლოდ უსაშველოდ სუსტი „ლიონის" გამო" — დაწერა თამაშის მეორე დღეს ესპანურმა „მარკამ".

**რეინჯერსი 2:1 შტუტგარტი**

0:1 გომესი (56), 1:1 ადამი (62), 2:1 დარშევილი (75პ)

**რეინჯერსი:** მაკგრეგორი, ჰატონი, ვეირი, პაპაჩი, ბ. ფერგიუსონი, ჰემდანი, ტომპსონი, ადამი (ბისლი 67), დარშევილი (ნროვო 83), კუელიარი, ვაიტეკერი (ფაიე 86)

**მწვრთნელი:** უოლტერ სმიტი

**შტუტგარტი:** შეფერი, ოსორიო, ტაში, მეირა, პარდო, ბოკა, კაკაუ, ჰილბერტი, ანტონიო (ევერტონი 70), ხედირა (ბაშთურქი 78), გომესი

**მწვრთნელი:** არმინ ფეე

**გაფრთხილება:** მეირა, ჰატონი, ტომპსონი, პარდო, ფაიე

**მსაჯი:** სტეფანო ფარინა (იტალია)

49 795 მაყურებელი

„აიბროქსზე" მასპინძლები შეტევაზე მეტად საკუთარი მისადგომების უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ, თუმც თამაში მაინც უფრო მოიერიშე „შტუტგარტმა" წააგო. გერმანელთა სალიგო დებიუტი უიღბლო გამოდგა — მცველთა და განსაკუთრებით სედარ ტაშის ნერვიულობამ „რეინჯერსს" რაფაელ შეფერის კარის გასაღები მოაძებნინა.

პირველ ტაიმში შოტლანდიელები მეტოქეს ძირითადად შორიდან ბომბავდნენ. ანგარიში კი „შტუტგარტმა" გახსნა — მარიო გომესმა, რომელმაც შესვენებამდე თავი ბევრით ვერაფრით გამოიჩინა, 56-ე წუთზე ხედირა-კაკაუს კომბინაციის შემდეგ გაიბრწყინა და გაიტანა.

ალემანთა ზეიმი დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე ადამმა ანგარიში გაათანაბრა და შოტლანდიელებმაც ძალა მოიკრიბეს. მეორე ტაიმში უკვე მათი იერიშების დრო დადგა. 75-ე წუთზე ფერნანდო მეირამ თავის საჯარიმოზე ალან ჰატონი მოცელა და დარშევილმა პენალტი შეაგდო.

**ლადო ხომერიკი**

# ზედმეტი არაფერი ვარგა

F ჯგუფი

**სპორტინგი 0:1 მანჩესტერი**

0:1 რონალდუ (62)

**სპორტინგი:** სტოიკოვიჩი, პოლგა, იზმაილოვი (ვუკჩევიჩი 56), რონი (პერეირინია 74), ტონელი, ჟალო, ველოსო, მუტინიუ, რომანიოლი (პუროვიჩი 68), ლიდსონი, აბელი

**მწვრთნელი:** პაულუ ბენტუ

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ევრა, ფერდინანდი, ბრაუნი, ვიდიჩი, რონალდუ (ტევესი 87), კარიკი, ნანი, სქოულზი, გიგზი (ანდერსონი 76), რუნი (საა 72)

**მწვრთნელი:** ალექს ფერგიუსონი

**გაფრთხილება:** რომანიოლი, ნანი, ვან დერ სარი

**მსაჯი:** ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

39 514 მაყურებელი

**მასპინძლები** თითქმის მთელი მატჩის მანძილზე ფლობდნენ უპირატესობას და მეტოქეზე მეტი მომენტიც შექმნეს, მაგრამ მაინც დამარცხდნენ. სერ ალექს ფერგიუსონის გუნდმა ლისაბონიდან მნიშვნელოვანი 3 ქულა წამოიღო.

ლისაბონელებმა თავიდანვე აქტიურად დაიწყეს და რამდენიმე მომენტიც შექმნეს, მაგრამ „მანჩესტერის" ვეტერანი მეკარე ედვინ ვან დერ სარი ბრწყინვალე იყო — მან რამდენჯერმე იხსნა გუნდი.

ერთადერთი გოლი 62-ე წუთზე გავიდა, როცა უესლი ბრაუნის ჩაწოდებულს ექსსპორტინგელმა კრიშტიანუ რონალდუმ ვარდნაში თავი შეაგება და 0:1. ახალგაზრდა ნახევარმცველმა ეს გოლი არ იზეიმა, რისთვისაც პორტუგალიელი ქომაგებისგან აპლოდისმენტები დაიმსახურა.

„სპორტინგმა" გაშვებული გოლის შემდეგაც გაიბრძოლა. ყველაზე ნაღდი მომენტი ტონელს ჰქონდა, მაგრამ ვან დერ სარი აქაც შეუვალი იყო.

აღვნიშნოთ, რომ უეინ რუნიმ ტრავმა მოიშუშა, „მანჩესტერის" ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდა და ცუდადაც არ უთამაშია. იგი 72-ე წუთზე ლუი საამ შეცვალა. ნანის კი, რონალდუს დარად, თავისი ყოფილი გუნდის კარში გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ ერთი მომენტი ვერ გამოიყენა.

„სპორტინგის" მთავარი მწვრთნელი პაულუ ბენტუ: „ჩემმა გუნდმა ძალიან ძლიერი „მანჩესტერის" წინააღმდეგ კარგად ითამაშა. პირველი ტაიმი ჩვენი იყო და საგოლე მომენტებიც გვქონდა. მეორე ნახევარი ცუდად დავიწყეთ, კონცენტრაცია დავკარგეთ და რონალდუს გოლი გავატანინეთ. შედეგი უსამართლოა, რადგან ჩვენ უკეთ ვითამაშეთ, მეტოქემ კი პირველივე მომენტი გამოიყენა. არ გაგვიხარდა, რომ სწორედ რონალდუმ გაგვიტანა, მაგრამ მას არ უზეიმია და ჩვენმა ფანებმაც მისდამი სიყვარული და პატივისცემა აპლოდისმენტებით გამოხატეს".

„პირველ მატჩში სტუმრად მოგება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. პირველ ტაიმში მიზნად დავისახეთ, „სპორტინგი" შეგვეჩერებინა და სიურცე შეგვეზღუდა, რაც ვან დერ სარის ბრწყინვალე თამაშის დახმარებით შევძელით. იგი შემდეგაც ჩინებულად გაისარჯა. კარგია, რომ რონალდუმ ამ სეზონში თავისი პირველი გოლი გაიტანა. პორტუგალიელები მას თბილად დახვდნენ, რაც სასიამოვნოა" — თქვა ფერგიუსონმა.

**რომა 2:0 დინამო**

1:0 პეროტა (9), 2:0 ტოტი (70)

**რომა:** დონი, ჟუანი (ფერარი 82), მექსეში, აკვილანი (დ. პიზარო 83), კასეტი, დე როსი, პეროტა, ტონეტო, მანსინი (ჟიული 61), ტოტი, ტადეი

**მწვრთნელი:** ლუჩანო სპალეტი

**დინამო:** შოვკოვსკი, ფიოდოროვი, ბანგურა (რინკონი 46), მაიკლი (რებროვი 56), შაცკიხი, მიხალიკი, გუსევი (კორეა 71), ელ-კადური, გავრანჩიჩი, იუსუფი, მარკოვიჩი

**მწვრთნელი:** ანატოლი დემიანენკო

**გაფრთხილება:** იუსუფი, ტონეტო

**მსაჯი:** ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)

60 000 მაყურებელი

„რომამ" „სტადიო ოლიმპიკოზე" მორიგი შოუ დადგა. ლუჩანო სპალეტის შეგირდებმა ჩვეული, სწრაფი, ლამაზი და შემტევი ფეხბურთი ითამაშეს, მეტოქეს ორი გოლი აკმარეს, საკუთარი კარი კი, სერია A-ს პირველი სამი მატჩის დარად, მშრალად შეინახეს.

„გლადიატორებს" უამრავი მომენტი ჰქონდათ, რომელთა აღწერაც შორს წაგვიყვანს. ბოლოს კი ხან თავად სცოდავდნენ, ხანაც ალექსანდრ შოვკოვსკი ყოჩაღობდა. ორჯერ სტუმრები ხარიხამ იხსნა. დედაქალაქელთა თამაშით გაბრუებულ კიეველებს კი, ფაქტობრივად, არაფერი შეუქმნიათ.

მე-9 წუთზე ტოტი-მანსინი-აკვილანი-ტონეტოს მშვენიერი კომბინაცია სიმონე პეროტამ ზუსტი თავურით დაასრულა.

წერტილი კი ტოტიმ ძლიერი დარტყმით 70-ე წუთზე დასვა, პეროტას კარგი პასის შემდეგ.

„შედეგითაც და თამაშითაც კმაყოფილი ვარ. ბევრი მომენტი შევქმენით და ორი მშვენიერი გოლი გავიტანეთ. განსაკუთრებით ლამაზი პირველი გამოვიდა. ნამდვილად კარგად გამოვიყურებოდით და ყველა შექებას იმსახურებს. თუმცა ამ მატჩში ისედაც გამარჯვება გვქონდა დაგეგმილი და ბიჭებმა იციან, რომ ზედმეტ კომპლიმენტებს არ მიიღებენ. მთავარია, ასე გავაგრძელოთ" — განაცხადა სპალეტიმ.



ლუდოვიკ ჟულის (მარჯვნივ) „რომამ" კიევლები დაჩაგრა

AFP

**გიორგი ძაძაბაძე**

## ჩემპიონთა ლიგა 2007-2008. ჯგუფური ეტაპი. I ტური

# ზოგი ტრავმა მარგებელია

**C ჯგუფი**

**ფენერბაჰჩე 1:0 ინტერი**

1:0 დეივიდი (43)
**ფენერბაჰჩე:** ვოლკანი, ლუგანო, რობერტო კარლოსი, ვედერსონი, კეზმანი (შენტურკი 67), აურელიო, ტურაჯი, ალექსი, ბარიში, ედუ, დეივიდი
**მწვრთნელი:** ზიკო
**ინტერი:** ჟულიო სეზარი, ხ. ძანეტი, სტანკოვიჩი, მაქსველი, სამუელი, ე. ლომპესი, დაკური (ხიმენესი 70), კამბიასო, სოლარი (ფიგუ 57), სუაზო (კრესპო 72), იბრაჰიმოვიჩი
**მწვრთნელი:** რობერტო მანჩინი
**გაფრთხილება:** ტურაჯი, იბრაჰიმოვიჩი, ლუგანო, დეივიდი, სამუელი, ხიმენესი
**მსაჯი:** ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)
45 000 მაყურებელი

**„ინტერმა“** ჩემპიონთა ლიგა შარშანდელივით მარცხით დაიწყო. შარშან „შავ-ლურჯებმა“ პირველ ტურში „სპორტინგთან“ წააგეს, წლეულს კი ზიკოს „ფენერბაჩესთან“, რომელშიც ყოფილი ინტერელი რობერტო კარლოსი თამაშობს. სწორედ კარლოსის წამოწყებულ კომბინაციას მოჰყვა დეივიდის ლამაზი გოლი. ბრაზილიელმა ფორვარდმა ათი მეტრიდან დაარტყა — ბურთს ფეხი ჰაერში დაუხვედრა და ჟულიო სეზარი, რომელმაც მანამდე არაერთხელ იხსნა სტუმრები, უშანსოდ დატოვა.

მეორე ტაიმის დასაწყისში მატეა კეჟმანმა ძელს გაარტყა ბურთი, მერე კი ჟულიო სეზარმა ისეთი დარტყმა აუღო ალექსს, რომ ფენერელმა მეკარეს ტაში დაუკრა.

რობერტო მანჩინიმ ლუიშ ფიგუ, ლუის ხიმენესი და ერნან კრესპო შეუშვა, მაგრამ მათაც ვერ უშველეს „ინტერს“, რომელსაც ოთხი დისკვალიფიცირებული და ორი ტრავმირებული ფეხბურთელი აკლდა.

ნამატჩევს ზიკომ განაცხადა: „ჩვენ ყოველმხრივ ვაჯობეთ მეტოქეს. ზლატან იბრაჰიმოვიჩს, დავიდ სუაზოსა და დეიან სტანკოვიჩს გასაქანი არ მივეცით. დიდებულად ვითამაშეთ თავიდან ბოლომდე და სამ ქულასაც ვიმსახურებდით“.

რობერტო მანჩინი: „სრულიად ახალი დაცვის ხაზი გვყავდა, მაგრამ მათი თამაშით უკმაყოფილო არ ვარ. აი, შემტევებმა ვერ გაამართლეს. ვერც შეცვლაზე შესულებმა იყოჩაღეს და უქულოდ დავრჩით. ტრავმირებულები დროულად თუ რა გამოჯანმრთელდნენ, პრობლემები კვლავაც გვექნება. რა თქმა უნდა, ჯგუფიდან გასვლის შანსი ისევ გვაქვს, მაგრამ ყოველწლიურად ლიგის მარცხით დაწყება არ შეიძლება“.


ზლატან იბრაჰიმოვიჩმა თურქებთან ვერაფერი გააწყო

AFP

**პსვ ეინდჰოვენი 2:1 ცსკა**

1:0 ლაზოვიჩი (59), 2:0 პერესი (80), 2:1 ვაგნერ ლავი (89)
**პსვ ეინდჰოვენი:** გომესი, სალსიდო, და კოშტა, სიმონსი, მენდესი (კრომკამპი 71), ლაზოვიჩი, კოვერმანსი (ფარფანი 75), ალსიდესი, კულინა, ადო, აფელაი (პერესი 28)
**მწვრთნელი:** რონალდ კუმანი
**ცსკა:** მანდრიკინი, შემბერასი, იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი, ვ. ბერეზუცკი, რახიმიჩი (ედუარდო 78), კრასიჩი, ჟირკოვი, დუდუ, ვაგნერ ლავი, ჟო
**მწვრთნელი:** ვალერი გაზაევი
**გაფრთხილება:** რახიმიჩი, დუდუ
**მსაჯი:** პედრუ პროენსა (პორტუგალია)
35 000 მაყურებელი

28-ე წუთზე იბრაჰიმ აფელაი დაშავდა და მისი ტრავმა პსვ-სთვის იღბლიანი გამოდგა. აფელაის ნაცვლად შესულმა კენეტ პერესმა საგოლე პასი და გოლი მიითვალა.

სტუმართა ბრაზილიელმა ფორვარდმა ვაგნერ ლავმა მატჩის მიწურულს ერთი გაქვითა — მეკარესთან პირისპირ გავიდა და გაიტანა.

„კარგი შედეგი რთულ მატჩში — ასე შეაფასა გამარჯვება რონალდ კუმანმა — ჩვენ მეტოქეზე მეტი საგოლე მომენტი გვქონდა და მოგებას ვიმსახურებდით, თუმც ბოლო წამებზე ცსკა-საც შეეძლო გათანაბრება“.

სტუმრებმა პირველი შანსი მეექვსე წუთზე გაუშვეს ხელიდან. ჟომ კარის წინ გაასრიალა ბურთი და ვაგნერ ლავი ვერ მისწვდა. აფელაის მაგივრად შესულმა პერესმა უფრო აზრიანი გახადა მასპინძელთა თამაში, მაგრამ შესვენებამდე ვერ გაიტანეს, რადგან ცსკა-ს მეკარე ვენიამინ მანდრიკინი ყოჩაღობდა. ვაგნერ ლავმა და დენი კოვერმანსმა ტაიმის მიწურულს თითო მომენტი გაანიავეს.

მეორე ტაიმში პსვ-მ ტემპს უმატა და პერესის პასით ლაზოვიჩმა ანგარიში გახსნა. ვაგნერ ლავმა ჟირკოვი გაიყვანა კარგ პოზიციაზე, რომელმაც ახლოდან ააცილა. ამის მერე პერესმა ახლო კუთხეში გაუტანა მანდრიკინს, რასაც ლავის გოლი მოჰყვა.

ბოლო წამზე ჟოს მართებდა შეგდება, თავით ახლოდან დაარტყა, თუმც არაზუსტად.

„დარწმუნებული ვარ, რომ მოსკოვში პსვ-ს მოვუგებთ“ — თქვა ვალერი გაზაევმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მზარეული მარცხენა ფლანგიდან

**H ჯგუფი**

**არსენალი 3:0 სევილია**

1:0 ფაბრეგასი (27), 2:0 ვან პერსი (59), 3:0 და სილვა (90)
**არსენალი:** ალმუნია, სანა, კოლო ტურე, სენდეროსი, კლიში, გლები, ფაბრეგასი, ფლამინი, როსიცკი (დიაბი 50), ადებაიორი (და სილვა 83), ვან პერსი
**მწვრთნელი:** არსენ ვენგერი
**სევილია:** პალოპი, დ. ალვეში, ფასიო, ესკუდე, დრაგუტინოვიჩი, ხესუს ნავასი, პოულსენი, მარტი (ს. კეიტა 66), კაპელი (რენატო 67), ლუის ფაბიანო (კერჟაკოვი 46), კანუტე
**მწვრთნელი:** ხუანდე რამოსი
**გაფრთხილება:** ადებაიორი, ალვეში, კეიტა
**მსაჯი:** პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)
60 000 მაყურებელი

**არსენ ვენგერმა** ნამატჩევს განაცხადა, რომ მის გუნდს ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლის შანსი აქვს. ფრანგმა აქო ფეხბურთელები, რომლებსაც უეფას თასის ზედიზედ ორგზის მომგებ „სევილიას“ იოლად აჯობეს და სამი გოლი გაუტანეს.

„ანრის წასვლა, მგონი, გუნდს უფრო წაადგა, ვიდრე ავნო — თქვა ფრანგმა — კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ მე არ მინდოდა მისი გაშვება და თვითონ ისურვა. მსოფლიო კლასის ფეხბურთელი დავკარგეთ, მაგრამ აქ დარჩენილებს თავის უკეთესად წარმოჩენის საშუალება მიეცათ. თვალსაჩინოა, რომ ბოლო ორ წელიწადში გუნდი აღმა მიდის. ბიჭები ტექნიკურად უფრო დაიხვეწნენ. მათგან არავინ ითხოვს ჩემპიონთა ლიგის მოგებას და ფავორიტადაც არავის მივაჩნივართ. ამიტომ უფრო თავისუფლად გრძნობენ თავს და ასე თუ გააგრძელეს, ლიგის ფინალში გასვლის კარგი შანსი გვექნება“.

პირველი გოლი სესკ ფაბრეგასმა შეაგდო. მისი დარტყმული ბურთი მცველს მოხვდა, გეზი იცვალა და დაბნეული პალოპის კარში აღმოჩნდა. ამ სეზონში ეს მეექვსე გოლია ესპანელისა, რომელზეც მწვრთნელმა თქვა: „შარშან ვერ გაჰქონდა და ვუთხარი, არ ინერვიულო-მეთქი, ახლა კი ისე აკრიფა, რომ შეუჩერებელია“.

მეორე ტაიმში სხვაობა რობინ ვან პერსიმ გაზარდა — ჰოლანდიელმა ლამის კარის ხაზიდან გაიტანა ბაკარი სანას თავური პასის შემდეგ. შეცვლაზე შესულმა ედუარდო და სილვამ კი ორსვლიანი კომბინაცია დაასრულა და „არსენალის“ მაისურით მეორე გოლი მიითვალა.

„სევილიას“ დებიუტი ლიგაში მარცხიანი გამოდგა, ხუანდე რამოსმა კი განაცხადა: „ამ შეჯიბრში მეტოქეები გაცილებით ძლიერები არიან, ვიდრე უეფას თასზე და შეცდომებსაც არ გაპატიებენ“.

**სლავია 2:1 სტიაუა**

1:0 შენკერიკი (13), 1:1 გოიანი (33), 2:1 ბელე (63)
**სლავია:** ვანიაკი, დრიჟდალი, სუხი, ბრაბეცი (იანდა 43), ლატკა (გუბაჩეკი 46), კრაიჩიკი, ბელე (ვოლეშაკი 81), ტავარესი, პუდილი, შენკერიკი, ვლჩეკი
**მწვრთნელი:** კარელ იაროლიმი
**სტიაუა:** ზაპატა, ბადოი, გოიანი, რადა, მარინი, ნიკოლიტა, ლოვინი (სურდუ 62), პეტრე, კრისტოჩეა (კროიტორუ 53), დიკუ, იაკობი (ბადეა 71)
**მწვრთნელი:** გეორგე ჰაჯი
**გაფრთხილება:** გოიანი, ლოვინი, კროიტორუ, ვოლეშაკი
**მსაჯი:** ოლეგარიუ ბენკერენსა (პორტუგალია)
18 000 მაყურებელი

ლიგის მეორე დებიუტანტმა „სლავიამ“ გეორგე ჰაჯის „სტიაუა“ დაამარცხა და ისტორიული გამარჯვება მიითვალა.

„დიდი ხანი ველოდით ამას და ზეიმის უფლებაც გვაქვს“ — თქვა მასპინძელთა მწვრთნელმა კარელ იაროლიმმა — ჩემი გუნდი აშკარად ნერვიულობდა გამოუცდელობის გამო და შესვენებისას ბიჭები დავაწყნარე, რაც მეორე ტაიმში კიდეც დაეტყოთ. ჩვენ ჯგუფში მესამე ადგილი გვინდა, თუმც ჯერ ბევრი მატჩია დარჩენილი და ვნახოთ, რა გამოვა“.

გეორგე ჰაჯი: „ვფიქრობ, კარგი მატჩი გამოდგა და ჩვენ ალბათ ქულას მაინც ვიმსახურებდით. მეტოქეს იღბალიც სწყალობდა, რადგან ორი მომენტიდან ორივე გამოიყენა“.

მე-13 წუთზე „სტიაუას“ კართან საჯარიმო ჩააწოდეს. სტანისლავ ვლჩეკის დარტყმული მეკარემ მოიგერია, მაგრამ დამატებაზე ზდენეკ შენკერიკმა იყოჩაღა და ჩემპიონთა ლიგაში „სლავიას“ პირველი გოლი შეაგდო.

ოცი წუთის შემდეგ სტუმრებმა კუთხურის შედეგად გაათანაბრეს. ნიკოლიტამ ბურთი თავზე დაასვა გოიანს და — 1:1.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა მწვრთნელის დარიგება ისმინეს და უფრო თავდაჯერებულად ათამაშდნენ. ფრანციშეკ დრიჟდალმა, რომელიც ერთი წლის წინ სკოლაში მზარეულად მუშაობდა, მარცხენა ფლანგიდან შეტევა წამოიწყო, ვლჩეკმა გააგრძელა, ტუანი ბელემ კი გოლით დაასრულა.


ტომაშ როსიცკი და დანი ალვეში

AFP

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჰაჯი ჯიჯიმ გააგიჟა
## სტიაუა უთავოა

„სლავიასთან" მარცხის შემდეგ „სტიაუას" მწვრთნელი გეორგე ჰაჯი გადადგა.

„ეს გადაწყვეტილება თვითონ მიიღო და მიზეზი არ უხსენებია" — თქვა კლუბის პატრონმა ჯიჯი ბეკალიმ.

ჰაჯიმ გუნდი ივნისში ჩაიბარა და ჩემპიონთა ლიგაშიც გაიყვანა, მაგრამ პატრონი მის საქმეებში გამუდმებით ერეოდა. რუმინეთის ჩემპიონატში „სტიაუა" მეშვიდე ადგილზეა. ექვსი ტურის შემდეგ და მხოლოდ ოთხი გოლი გაიტანა.

აგვისტოში ბეკალი ჰაჯის მოხსნით დაემუქრა, რადგან მწვრთნელმა პირველ ტურში პატრონის ხელით ჩამოწერილი შემადგენლობა არ ათამაშა.

ბეკალიმ „სლავიასთან" მატჩის წინაც უბრძანა ჰაჯის ორი ფეხბურთელის — სურდუს და ბადეას — ძირითად შემადგენლობაში დაყენება, მაგრამ მწვრთნელმა ისინი შეცვლაზე შეიყვანა. ალბათ ამან გამოიწვია მორიგი კონფლიქტი, რამაც ჰაჯის არჩევანი არ დაუტოვა.

იგი „სტიაუამდე" რუმინეთის ნაკრებს, „ბურსასპორს", „გალათასარაის" და ტიმიშოარას „პოლიტექნიკას" წვრთნიდა. ჯიჯი ბეკალი ჰაჯის შეცვლას კოზმან ოლარიუთი აპირებს, რომელიც ამჟამად საუდეთის „ალ ჰილალში" მუშაობს, ადრე კი „სტიაუას" წვრთნიდა.

**ვაჟა ხუციშვილი**




# ლივერპულს ნაკრები ეტკინა
## ტრავმებმა ბენიტესს დავთრები აურია



ინგლისურ „ლივერპულს", რომელმაც სეზონი მშვენივრად დაიწყო, დაახლოებით თვენახევრით ხაბი ალონსო და დანიელ აგერი გამოაკლდა. ესპანელიც და დანიელიც ეროვნულ ნაკრებში თამაშისას დაშავდნენ.

მიუხედავად ამისა, შემდეგ მათ „პორტსმუთთან" უგოლო მატჩში მაინც ითამაშეს, მაგრამ ტრავმები გაუმიზეზდათ და, ექიმების თქმით, 4-6 კვირა მოუწევთ უქმობა.

„მათი ტრავმები ერთმანეთის მსგავსია. არც ერთი არ საჭიროებს ოპერაციას, მაგრამ 4-6 კვირა დასვენება მოუწევთ" — თქვა მერსისაიდელთა წარმომადგენელმა იან კოტონმა.

რაფაელ ბენიტესს ხაბი ალონსოს შემცვლელები კი ჰყავს, მაგრამ აგერის ტრავმა პრობლემებს შეუქმნის. ესპანელი სპეციალისტის განკარგულებაში დაცვის ცენტრში ახლა მხოლოდ სემი ჰიიპია და ჯეიმი კარაგერი არიან. ამიტომ ეგებ ფლანგიდან ცენტრისკენ ალვარო არბელოას შეყვანა მოუხდეს.

სამაგიეროდ, მომჯობინდა იონ არნე რიისე. ნორვეგიელმა ნახევარმცველმაც ეროვნულ ნაკრებში თამაშისას მიიღო ტრავმა, რომლის გამოც „ლივერპულის" ბოლო ორი მატჩი გამოტოვა. სავარაუდოდ, იგი მომავალ უქმეებზე „ბირმინგემის" წინააღმდეგ ითამაშებს.

„უკვე მწყობრში ვარ და ერთი სული მაქვს, თამაშს როდის განვაახლებ. ძალიან დამწყდა გული, რომ ბოლო ორი მატჩის გამოტოვება მომიხდა, რადგან „პორტსმუთთან" და „პორტუსთან" მნიშვნელოვანი მატჩები გვქონდა" — აღნიშნა რიისემ.

**გიორგი კაკაბაძე**

# სკოლარის გასახდელი აუკრძალეს

პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელი ლუიშ ფელიპე სკოლარი უეფამ ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა და 12 ათას ევროსაც გადაახდევინებს.

12 სექტემბერს პორტუგალია — სერბეთის მატჩის მიწურულს სკოლარიმ სერბ ივიცა დრაგუტინოვიჩს დაარტყა და მერე თქვა, თავზე ხელი გადავუსვიო. ბრაზილიელმა მწვრთნელმა მოგვიანებით ყველას ბოდიში მოუხადა დრაგუტინოვიჩის გარდა. ფეხბურთელი იმ მატჩში გააძევეს და ჩხუბიც ამის შემდეგ მოედნის კიდესთან მოხდა. სერბს წითელი ბარათი ორმატჩიან დისკვალიფიკაციად შეუფასეს და სომხებთან და აზერბაიჯანთან მატჩებს გამოტოვებს.

რაც შეეხება სკოლარის, მას გასახდელში შესვლის და მოედანზე ჩასვლის უფლება არ ექნება აზერბაიჯანთან და ყაზახეთთან მატჩებში, რომლებიც ოქტომბერში გაიმართება და ასევე ნოემბრის შეხვედრებში სომხეთთან და ფინეთთან.

პორტუგალიამ ევროშესარჩევის ბოლო სამი მატჩი ფრედ დაასრულა — ჯერ ერევანში სომხებს დაუზავდა (1:1), მერე კი შინ პოლონეთს (2:2) და სერბეთს (1:1).

ლუიშ ფელიპე სკოლარის გუნდი ჯგუფში მესამე ადგილზეა და ლიდერ პოლონეთს ოთხი ქულით ჩამორჩება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ნოჩერინოს სასწაული

ტურინის „იუვენტუსის" 22 წლის ნახევარმცველი ანტონიო ნოჩერინო პირველად ესაუბრა პრესას მას მერე, რაც ორშაბათს ღამე რესტორან „მამა მიადან" გამოსვლისას მანქანა დაეჯახა.



საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა, ნიჭიერი ფეხბურთელი მხოლოდ მსუბუქად დაზიანდა. იგი უკვე თანაგუნდელებთან ერთად ვარჯიშობს და არ არის გამორიცხული, მომავალ უქმეებზე „რომასთან" თამაშიც შეძლოს.

„ყველაფერი ცუდი უკან დარჩა, მაგრამ ძალიან შემეშინდა. საბედნიეროდ, მძიმე დაზიანება არ მიმიღია. თუმცა ასეთ თავგადასავალში მოხვედრას არავის ვუსურვებ. თავს ისე ვგრძნობ, თითქოს სასწაულმა გადამარჩინა" — თქვა ნოჩერინომ.

**კოკი კანდელაკი**

# სამეფო მიზანი
## შუსტერმა დიეგო ძალიან გაახარა

22 წლის ბრაზილიელი ვარსკლავი დიეგო, რომელმაც ბრემენის „ვერდერის" შემადგენლობაში „სანტიაგო ბერნაბეუზე" „რეალთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩში გაიბრწყინა, მომავალი სეზონისთვის სამეფო თეთრების სატრანსფერო სამიზნეზე იქნება. „ასის" ცნობით, ოკეანისგაღმელის სიყოჩაღე „რეალის" თავკაცთათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა.

დიეგოთი ყველანი მოიხიბლნენ — ტრანსფერთა საქმეში მთავარი პასუხისმგებელი, „რეალის" სპორტული დირექტორი პრედრაგ მიატოვიჩი, მისი თანაშემწე მიგელ ანხელ პორტუგალი და კაკას, ფაბრეგასისა და დიეგოს ტიპის ტექნიკურ ფეხბურთელთა დიდი შემფასებელი, პრეზიდენტი რამონ კალდერონი. მედიასთან საუბარში სამივემ აღიარა დიეგოს სიჩაუქე.

აღსანიშნავია, რომ ბრაზილიელს „სამეფო გუნდი" უკვე ორი წელიწადია, აკვირდება — იმ დროს დიეგო „პორტუს" ფეხბურთელი იყო.

რამონ კალდერონმა უკვე გასცა განკარგულება მადრიდში „ბრემენის" ნახევარმცველის ჩამოყვანის შესახებ.

„თუ დიეგოს სანაცვლოდ „ვერდერი" ფანტასტიკურ თანხას არ მოითხოვს, იგი მომავალი სეზონისთვის უნდა ვიყიდოთ" — უბრძანა კასტილიელთა თავკაცმა თავისიანებს. ესპანური მედიის ვარაუდით, დიეგოს ფასი ოციდან ოცდახუთ მილიონ ევრომდე იქნება.

კალდერონის, მიატოვიჩისა და პორტუგალის გარდა კიდევ ერთი კაცია „ბერნაბეუზე", რომელსაც „რეალში" გადამწყვეტი სიტყვა ეთქმის და დიეგოს შეძენა მასაც ძალიან უნდა. ეს „სამეფო თეთრების" მწვრთნელი ბერნდ შუსტერია, ვინც ბრაზილიელ ნახევარმცველს „რეალ" — „ბრემენის" მატჩის შემდეგ შეხვდა და კარგა ხანს ესაუბრა. შემდეგ შუსტერმა ეს თქვა „ბილდთან" ინტერვიუში: „დიეგო შესანიშნავი ფეხბურთელია. კლუბის ხელმძღვანელობას მის შესახებ მოველაპარაკები. მინდა, რომ ბრაზილიელმა გაისად ჩვენთან ითამაშოს... დიეგომ გასულ სეზონში ბუნდესლიგაში კარგად ითამაშა. სამხრეთამერიკელებს ევროპულ ფეხბურთთან ტრადიციულად ადაპტაცია სჭირდებათ, მაგრამ ეს ბიჭი ევროპას საოცრად მალე მიეჩვია. ბრემენელთა 10 ნომერს თვალყური უნდა ვადევნოთ და გავიგოთ, სამომავლოდ რა გეგმები აქვს".

მადრიდელთა სასურველი ფეხბურთელს ძალიან გაუხარდა, როცა „სამეფო გუნდის" განზრახვა შეიტყო.

„ცხადია, არ უარყოფ, გამიხარდა, ასეთმა დიდმა კლუბმა ჩემდამი ინტერესი რომ გამოიჩინა. „რეალში" ამბობენ, რომ დიეგოს თამაშის სტილი მოსწონთ, რაც დიდი პატივია ჩემთვის" — განაცხადა ბრაზილიელმა.

„რეალის" სპორტულმა დირექტორმა ზაფხულშიც შეამჩნია ბრემენის ტალანტი, ისიც თამაშს ძალიან კარგად რომ ხედავს, მაგრამ რაკი ჯერ ძალიან ახალგაზრდაა, „რეალში" გადაწყვიტეს, ერთი წელიწადი კიდევ დაეცადათ.

საქმე ისაა, რომ „მუსიკოსთა" ფეხბურთელს კლუბთან საკონტრაქტო ვადა 2010 წლის 30 ივნისს უმთავრდება, ხოლო „ვერდერი" უკვე რამდენიმე კვირაა, დიეგოს აგენტებთან მოლაპარაკებას აწარმოებს — ფეხბურთელთან ხელშეკრულების გახანგრძლივება უნდა. თანამედროვე საფეხბურთო კანონების მიხედვით, ფეხბურთელს, რომელმაც სამი წლის განმავლობაში ერთსა და იმავე კლუბში ითამაშა, შეუძლია, სხვა გუნდში ნაკლებ თანხად გადავიდეს...

